პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 11 დეკემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 671 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სავლე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ეს ნაკლი დაუყონებლივ უნდა იქმნას გამოსწორებული.

წითელ-არმიელის პოლიტიკურად და კულტურულად გათვითცნობიერება წითელი არმიის ერთ ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს. წითელი არმიის არსებობის მეექვსე წელზე ეს ჭეშმარიტება ყველასათვის ცნობილი და უდავო უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ზოგიერთ ჯარის ხელმძღვანელებს ეს ჭეშმარიტება დღესაც ვერ შეუთვისებიათ.

საქმე შემდეგშია.

ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტსაათს, სასკოლო მეცადინეობას და ყოველგვარ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას მოკლებულნი არიან ის წითელ-არმიელები, რომლებიც ნაწილში ამა თუ იმ ტეხნიკურ მუშაობას ეწევიან. მაგალითად სამზარეულოში მომუშავე წითელ-არმიელები და სხვა. ეს კი მეტის-მეტად არანორმალური მოვლენაა.

გამოდის, რომ ამ წითელ-არმიელებისათვის არ არის საჭირო არც წერა-კითხვის ცოდნა, არც პოლიტსაათი.

ეს არ არის სწორი.

არც ერთი წითელ-არმიელი არ უნდა აკლდებოდეს პოლიტიკურ და სასკოლო მეცადინეობას. ყოველივე ეს იმიტომ არსებობს წითელ ჯარში, რომ თითეულ წითელ-მებრძოლს საშვალება ქონდეს შეიძინოს სათანადო პოლიტიკური და საერთო ცოდნა, რომელიც ესაჭიროება საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეს.

ამიტომ თითეული სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელი ვალდებულია სათანადო პირობები შეუქმნას ყველა წითელ-არმიელებს განურჩევლად მუშაობისა, რომ მათ საშვალება ჰქონდეთ პოლიტ და სასკოლო მეცადინეობაზე დასწრებისა.

ამის შესახებ თავის დროზე გაიგზავნა ცირკულიარი პოლიტგანყოფილების მიერ. მაგრამ როგორც სჩანს, ეს ცირკულიარი ბევრს ვერ შეუთვისებია.

ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ამიერიდან ყველა ტეხნიკურ სამუშაოზე მყოფი წითელ-არმიელები ჩაბმულ უნდა იქმნან ნაწილის ყოველგვარ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში.

არც ერთი მათგანი არ უნდა დააკლდეს არც პოლიტსაათს, არც სასკოლო მეცადინეობას, არც სანიტ-საათს, არც საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობას.

ეს უნდა იქმნას შესრულებული ყოველ მიზეზს გარეშე. რა მებრძოლია ის წითელ-არმიელი, რომელმაც წელიწად ნახევარი დაჰყო ნაწილში, არ იცის არც ანი, არც ბანი და პოლიტიკურად სრულიად უმეცარია.

უნდა ვეცადოთ, რომ ასეთებს ჩვენს რიგებში არ ქონდეს ადგილი.

ამიტომ სასტიკად უნდა იქმნას გატარებული და დაცული ცხოვრებაშიც პოლიტგანყოფილების ცირკულიარი № 148.

„პრავდას“ მუშკორთა და სოფლკორთა ყრილობა.

კორესპონდენტების დევნა და მათი დაცვა.

9 დეკემბრის სხდომაზე ამხ. გრუნტი აღნიშნავს კორესპონდენტების მდგომარეობას. კორესპონდენტების დევნის მიზეზი არის ის გარამოება, რომ მათ უხდებათ ბრძოლა საბჭოთა კავშირის უკმაყოფილო პირებთან, რომლებიც ვითომდა კმაყოფილი არიან საბჭოთა კავშირით და მოკალათდენ სხვა და სხვა დაწესებულებებში.

მომხსენებელი ურჩევს რედაქციებს დაეხმარონ კორესპონდენტებს და დააჩქარონ მათი ცნობებით გამომჟღავნებულ საქმეების გარჩევა. კორესპონდენტების დაცვის მიზნით, მომხსენებლის აზრით საჭიროა შექმნილ იქნას განსაკუთრებული კომისია რკპ-ს ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან.

გრუნტის მიერ შეტანილ წინადადებების დასამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც შედის 11 მუშათა და გლეხთა კორესპონდენტი.

არჩევნების შემდეგ გერმანიაში.

კომინტერნის დეპეშა გერმანიის კომპარტიას.

კომინტერნის აღმასკომმა გაუგზავნა გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

კომუნისტი-დეპუტატები გერმანიის რეიხსტაგში.



ამხ. მიუნცებერგერი



ამხ. რუტ ფიშერი

„კომინტერნის აღმასკომი მხურვალე სალამს უძღვნის გერმანიის კომპარტიას და ულოცავს იმ შედეგებს, რომელსაც მიაღწია მან რეიხსტაგის არჩევნების „კატორღულ პირობებში“.

ასეთი პირობებში მიღწეული შედეგები დიდი ზნეობრივი გამარჯვებაა გერმანიის კომპარტიისთვის.

აღმასკომს სწამს, რომ გერმანიის კომპარტია უფრო შეამჭიდროებს თავის რიგებს და წინ წასწევს მშრომელთა გათავისუფლების საქმეს თავისი ენერგიული მუშაობით.

გაუმარჯოს გერმანიის კომპარტიას!“

არჩევნების შედეგების შეფასება.

რეიხსტაგის დაშლის მიზანი იყო კომუნისტების დამარცხება.

კომუნისტებმა მაინც გაიმარჯვეს არჩევნებში.

საუბარი ამხ. გეშკესთან.

კომინტერნის აღმასკომის მდივანმა და გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრმა გეშკემ როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„რეიხსტაგის დაშლის მიზანი იყო კომპარტიის სრული განადგურება. კომპარტია, წინააღმდეგ მტრების იმედებისა, არ დამარცხებულა ამ არჩევნებში. მან თუმცაღა დაჰკარგა ერთი მილიონი ხმა, მაგრამ ამის მიზეზი იყო თეთრი ტერორი, ლიდერების დევნა და კიდევ ის გარემოება, რომ ფართე მასები კიდევ ვერ გრძნობენ დოუესის გეგმის მთელ სიმძიმეს. სამრეწველო რაიონებში და გადამჭრელ ცენტრებში კომუნისტებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. მაგრამ გავა კიდევ ცოტახანი და გამოფხიზლდება მასების ის ნაწილიც, რომლებიც ხმას აძლევდენ სოციალ-დემოკრატებს“.

აჯანყების შემდეგ ესტონეთში.

მასიური ტერორი.

ბავშვებსაც აპატიმრებენ.

ესტონეთის პოლიციამ დააპატიმრა ექიმი პოლიაკოვი და გადასცა სასამართლოს იმისთვის, რომ აჯანყების დროს ის საექიმო დახმარებას უწევდა დაჭრილ აჯანყებულებს.

რეველის რაიონებში პოლიცია აწარმოებდა მასიურ ჩხრეკას. ესტონეთის გაზეთები აცხადებენ, რომ ჩხრეკამ „ბრწყინვალე შედეგები“ მოგვცაო, ხოლო როგორი—ამას კი არ ამბობენ.

გენერალ ლაიდონერმა გამოსცა ბრძანება, რომ ყველა ის პირი, ვინც კი მიუახლოვდება დარაჯს 15 ნაბიჯზე, დახვრეტილ იქნასო.

ტერორი ვრცელდება ბავშვებზედაც.

რეველის ციხეში ზის რამოდენიმე ბავშვი, რომლებსაც ბრალი ედებათ აჯანყებულებზე დახმარებაში.

კომუნისტი-დეპუტატები პრუსიის ლანდტაგში.

გერმანიის კომპარტიამ პრუსიის ლანდტაგში მიიღო 44 ადგილი.

80 პროც.-ზე მეტი.

ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროს ანგარიშით გერმანიის რეიხსტაგის არჩევნებში მონაწილეობდა 80 პროც.-ზე მეტი ამომრჩეველი.

ინგლისის გაზეთების გამოძახილი.

ინგლისის გაზეთები კმაყოფილი არიან გერმანიის არჩევნების შედეგით. კონსერვატორები ამ შედეგებში ხედავდენ გერმანიის დამშვიდების ნიშანს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები დანიაში და ესტონეთში.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ესტონეთში დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს უფროსი მდივანი პეტროვსკი. ყოფილი წარმომადგენელი ესტონეთში კობეცკი დაინიშნა წარმომადგენლად დანიაში.

ინგლისის მეფის სეფე-სიტყვა.

მას ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება არ მოსწონს.

თავის სეფე—სიტყვაში ინგლისის მეფე შეეხო საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებას და განაცხადა:

„მთავრობას არ შეუძლია წარუდგინოს პარლამენტს განსახილველად საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება. მე ვისურვებდი, რომ არ შეწყვეტილიყო საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობა.

1921 წელში დადებული სავაჭრო ხელშეკრულება იძლევა ყველაფერს რაც კი საჭიროა დღეს სავაჭრო ურთიერთობის გასავითარებლად ორივე სახელმწიფოს შორის.

მაკდონალდი კმაყოფილია კონსერვატორების პოლიტიკით.

მაკდონალდის სიტყვა.

კამათში სეფე სიტყვაზე საპასუხოდ გამოვიდა მაკდონალდი რომელმაც კმაყოფილება განაცხადა საბჭოთა კავშირის მიმართ წარმოთქმულ მეგობრული სიტყვის გამო.

მან შეკითხვა შეიტანა, როგორი ბედი ეწვევა საბჭოთა კავშირთან მეთევზეობის სხვა და სხვა საკითხების შესახებ დადებულ ხელშეკრულებასო.

მაკდონალდმა განაცხადა, რომ მე მეგონა საქმე მექნებოდა ძველ კონსერვატორულ ტიპის პოლიტიკასთანო.

სრულიად ინჟენერთა კავშირის მეორე ყრილობა.

ყრილობის მიზანი.

9 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა სრულიად კავშირის ინჟენერთა მეორე ყრილობა. ყრილობის მიზანია გამოიმუშაოს ზომები და საშუალებანი, რომ უფრო ნაყოფიერი დახმარება გაუწიოს სასოფლო მეურნეობის საჭიროებებს.

ფრანგ ინჟენერების მისალმება

ყრილობამ პატივი სცა ლენინის ხსოვნას ადგომით. შემდეგ ყრილობას მიესალმა ფრანგი ინჟენერი რეი, რომელმაც განაცხადა: მე აქ მოვედი იმ მიზნით, რომ ვისწავლო რუსეთის პროლეტარიატისაგან ახალი ცხოვრების აღმშენებლობათ.

ექიმების ცნობა ამხ. ტროცკის ავადმყოფობის შესახებ.

24 ნოემბერს საექიმო კომისიამ გასინჯა ამხ. ტროცკი და აღმოაჩინა, რომ ის შეპყრობილია ციებ-ცხელებით; 5 დეკემბერს ხელმეორედ გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ მიუხედავად მიღებულ ზომებისა, ტემპერატურა მაინც არ კლებულობს. ეს ავადმყოფობა წააგავს გასული წლის ავადმყოფობას. ექიმების აზრით ტემპერატურის ასეთი ზრდა მიზეზია ბრონხების ლიმფატიურ ჯირყვლების ანთების, რაიც გამოიწვია კავკასიის თბილი ჰავიდან მოსკოვის ნესტიან და ცივ ჰავაში გადმოსვლამ. კომისია საჭიროდ სცნობს ამხ. ტროცკის გამგზავრებას სადმე თბილ ჰავიან აგარაკზე.

ხელს აწერენ ექიმები: ბეტიე, ალექსანდროვი, პეზნერი და ჯანმრთელობის სახალხო კომისარი

სემაშკო.

იარეთ რკპ-ს დროშის ქვეშ.

რკპ-ს ცეკას სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ბუხარინი.

ბუხარინი დაწვრილებით ეხება საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობას და ახასიათებს ინტელიგენციის როლს საბჭოთა აღმშენებლობაში. დღევანდელ ინჟენერში უნდა გაერთიანდეს საზოგადოებრივი მუშაკი და ტეხნიკი.

რევოლიუციამ მიუხედავად ნგრევისა, ნიადაგი მოუმზადა დიად აღმშენებლობას.

„პარტიის ცეკას სახელით-ამბობს ბუხარინი-მე მოგიწოდებთ თქვენ უფრო მტკიცედ იაროთ რკპ-ს დროშის ქვეშ“.

ყრილობა ირჩევს საპატიო თავმჯდომარედ ტომსკის, და პრეზიდიუმის საპატიო წევრებად-რიკოვს, კალინინს, კამენევს, ზინოვიევს, სტალინსა და ბუხარინს.

ერთა ლიგის მე-32-ე სესია.

9 დეკემბერს გაიხსნა ერთა ლიგის მე-32-ე სესია.

იაპონიის წარმომადგენელმა მოხსენება გააკეთა ჟენევის ჰიგიენური კომისიის მუშაობის შესახებ.

შვეციის წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო უფლების განვითარების შესახებ და გააცნო სხდომას ერთა ლიგის მიერ მიღებული ზომები.

საბჭომ მოიწონა ნანსენის მოხსენება საერთაშორისო შრომის ბიუროს მუშაობისა და რუს და სომეხ გადახვეწილთა დახმარების შესახებ.

საბჭომ სთხოვა ნანსენს განაგრძოს თავისი მუშაობა.

წითელი საფრთხე იტალიაში.

ოპოზიციონური წრეების აზრით მუსოლინი აშინებს ოპოზიციას წითელი საფრთხით, რათა შეირჩინოს ძალა-უფლება. ლიბერალური გაზეთი სწერს: „მუსოლინის სიტყვებით, კომუნიზმი იზრდება, მაგრამ მისი ზრდის უმთავრესი მიზეზია ფაშისტური ტერორიაო. მუსოლინი ამტკიცებს, რომ მხოლოდ მას შეუძლია იყოს საიმედო დამცველი ტახტის, ეკლესიისა და კაპიტალის.

მაგრამ ცენტრის მთავრობა, რომელიც შესცვლის მას, არანაკლებად შეასრულებს ამ ამოცანებს.

მოსალოდნელი პროვოკაცია.

კომუნისტური გაზეთი უნიტა სწერს: „კომუნიზმის საფრთხე აერთიანებს ფაშიზმსა და ოპოზიციას. ის ფაქტი, რომ მუსოლინი იძულებული იყო წითელი საფრთხის მიზეზით უარი ეთქვა ძალა-უფლების დათმობაზე, საშუალებას გვაძლევს ვიფიქროდ, რომ ხვალ შეიძლება აღმოჩენილ იქნას დიდი შეთქმულება და გასკდეს პროვოკაციული ბომბი.“

საბჭოთა უკრაინის 5 წლის თავი.

12 დეკემბერს სრულდება ხუთი წელი, რაც უკრაინაში დაარსდა საბჭოთა წესყობილება.

თეთრგვარდიელები ანგრევდენ ჩვენ კი ვაშენებთ.

ჟიტომირის აღდგენა.

მთავრდება მუშაობა ჟიტომირის აღდგენის საქმეში, რომელიც დანგრეული იყო სამოქალაქო ომის დროს პეტლიურის და უკრაინის ბანდების მიერ. შეკეთებულ იქნა ბევრი დანგრეული შენობა, ქუჩები, შენდება ხიდები. ქალაქი თანდათან იღებს კარგად მოწყობილ საგუბერნიო ცენტრის სახეს.

„ფაქტების ღაღადი“

ამ სათაურით „პრავდა“ სწერს:

„რევოლიუციის საუკეთესო პროპაგანდა—ეს არის ჩვენი მეურნეობის მიღწევები, ჩვენი კულტურული ზრდა, ჩვენი თანდათანობითი გაძლიერება. ამ მხრივ შესანიშნავია ის შთაბეჭდილება, რომელიც „გამოიტანა ინგლისის დელეგაციამ ჩვენი კავშირის სხვა და სხვა კუთხეების დათვალიერების დროს.

ფაქტების ხმამ აიძულა ჩვენს ინგლისელ მეგობრებს გამოეტანათ თავიანთი დასკვნები იმ მეთოდების სასარგებლოდ, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ჩვენი მუშათა კლასი.

ჩვენი ინგლისელი მოკავშირეები გავლენ ჩვენი ქვეყნიდან დიდი რწმენით ჩვენს მომავალზე. მათ საკუთარის თვალით დაინახეს ჩვენი ზრდა, რომელიც საუკეთესო პროპაგანდაა პროლეტარული ბრძოლისა და გამარჯვების“.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის დასახმარებლად.

იტალიაში ეწყობა საკრედიტო დაწესებულება, რომელიც სესხს მისცემს საბჭოთა კავშირს საქონლის გაზიდვა-შემოზიდვის წარმოებისთვის.

მუშათა მოძრაობა.

ცენტრალურ პროფკავშირთა საბჭოს მიმართვა პოლონეთის პროლეტარიატის მიმართ.

„როგორც ჩვენ გავიგეთ პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა კომისიამ გადასწყვიტა გამოგზავნოს საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაცია, რათა გაეცნონ ადგილობრივად რუსეთის პროლეტარიატის ცხოვრებისა და შრომის პირობებს.

ჩვენთვის სასურველი იქნებოდა, რომ გარდა ოფიციალურ პროფკავშირთა წარმომადგენლებისა, დელეგაციაში შესულიყო ფაბრიკა-ქარხნის მუშებიც. მუშათა მეგობრულ დელეგაციასთან ჩვენ არაფერი გვექნება დასაფარავი. მუშათა კლასის მტრები შეეცდებიან ხელი შეუშალონ ჩვენს შორის მეგობრულ კავშირს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ერთმანეთთან მიმოვგზავნოთ თავიანთი დელეგაციები და განვამტკიცოდ მეგობრული კავშირი.

დოუესის გეგმა-მუშათა დამონავების ახალი გეგმაა.

ნიუ-იორკში შემდგარ მუშათა ყრილობამ დაჰგმო ხმის უმეტესობით დოუესის გეგმა.

რეზოლიუციაში დოუესის გეგმა აღნიშნულია, როგორც მუშათა დამონავებისა და ბანკირების გამდიდრების ახალი გეგმა.

უცხოელ რევოლიუციონერთა წინააღმდეგ.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარში ნათქვამია, რომ საფრანგეთი მფარველობას გაუწევს უცხოელ მუშებს და პოლიტიკურ გადმოხვეწილებს, რომლებიც იშრომებენ მშვიდობიანად და მათი საფრანგეთში ყოფნა არ მოუმზადებს მოქალაქეებს რაიმე საფრთხეს.

მაგრამ საფრანგეთის მთავრობა მკაცრ ზომებს მიიღებს მათ წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დემონსტრაციებში არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ.

ხალხის ჯალათების გასამართლება.

გოქაული მახარაძის, კედიას და სხვათა საქმე.

სასამართლოს სხდომა იხსნება ქალ. ყვირილაში.

აქაც, როგორც ჭიათურაში, აუარებელი ხალხი აწყდება სასამართლოს შენობას. უმრავლესობა ახლო-მახლო სოფლებიდან არიან მოსულნი, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვთ ამ ვაჟბატონების მხეცობადა ყველას თვალწინ უდგანა ის საშინელი სურათი, რომელსაც ადგილი ქონდა ყვირილის რაიონში მათი წყალობით 1905-6 წ. წ. რეაქციის დროს.

გრძელდება მოწმეების დაკითხვა. უმრავლესობა თვით დასჯილებია.

მოწმეების ჩვენებიდან ირკვევა მათი საზიზღარი მოქმედებანი, მექრთამეობა და სხვა.

მოწმე სამანაშვილი იძლევა ჩვენებას, რომ ყაზახების რაზმა, რომელსაც მეთაურობდა მახარაძე, გაუპატიურეს მას, მოწმეს, დედა და ცოლი და სასტიკად სცემეს მამას და თვით მოწმეს.

დარისპან არეშიძე ამბობს, რომ ისე ძლიერ მცემა ჯერ მახარაძემ, შემდეგ როცა გული იჯერა ცემით გადამცა ნახევრად კვდარი კაცი გამხეცებულ „სტრაჟნიკებს“ და მათაც ცემით სიკვდილის პირამდე მიმიყვანესო. მას მერმე დავრჩი ისე, როგორც მხედავთო, ინვალიდათ, შრომისათვის გამოუსადეგარიო.

66 წლის მოხუცი ე. ჩუბინიძეც აღნიშნავს რომ მასაც სცემა მახარაძემ.

საყვარელიძეზე და ჭანჭიაშვილზე მოწმეები ასეთი აზრის არიან, რომ ისინი სცემდენ გლეხობას, რომ ამით ესიამოვნებიათ ბარათაშვილისათვის.

სასამართლოს სხდომა გაგრძელდება კიდევ სამ დღეს. დარჩა კიდევ 30 მოწმე დასაკითხავი.

რადიო ყოველ მხრიდან.

ხმები ამხ. გილბოს დაბრუნების შესახებ საფრანგეთში.

„ჟურნალი“ იუწყება, რომ კომუნისტი გილბო დაბრუნდა საფრანგეთში და ამ ჟამად იმყოფება პარიზის განაპირა ადგილში აქტიურ კომუნისტებს შორის,

გაზეთი „მატენი“ იმავ დროს იუწყება, რომ გილბო კიდევ ჟენევაში იმყოფებაო.

ადგილობრივი ცნობები.

გრიგალი.

9 დეკემბერს ფოთის რაიონში გადაიარა ძლიერმა გრიგალმა. ასეთი ძლიერი გრიგალი რამოდენიმე წელია ფოთის მხარეზე არ ყოფილა.

გრიგალმა დააზიანა ელექტრონისა და ტელეფონის ქსელი.

ხანძარი.

8 დეკემბერს გაჩნდა ხანძარი სალორიის ტყეში. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა სამხედრო ნაწილების დახმარებით ჩქარა შესწყვიტა ცეცხლის გავრცელება.

გადაიწვა ტყის მცირე ნაწილი. ზარალი ცოტაა.

საბჭოთა სამართალი.

(საუბარი წითელ არმიელთან).

ფეოდალური სასამართლო.

პატრიარქმა დიდი გავლენა მოიპოვა საგვარეულო თემზე. ის ხელმძღვანელობდა თემს ბრძოლის დროს, იგივე უწევდა მას ხელმძღვანელობას შინაურ სამეურნეო ცხოვრებაში. ის უკვე ისეთ პირად შეიქმნა, რომელსაც ყოვლის შემძლეთ და ყოვლის მცოდნეთ სთვლიდენ. ყველა მის წინაშე მოწიწებით ქედს იხრიდა და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. ამასთანავე ერთად დიდი ფასი დაედო მიწის დამმუშავებელ ხალხს. რომელ საგვარეულო თემსაც ბევრი დამმუშავებელი ხალხი ჰყავდა, ის უფრო მეტ ნაყოფს მოიწევდა, ე. ი. ის უფრო მეტი მდიდარი იყო. უფასო მიწის მუშების შესაძენათ გახშირდა ომები საგვარეულო თემთა შორის. გამარჯვებული თემის პატრიარქი, დამარცხებულებს უკვე აღარ ხოცავდა, ისინი მოყავდა თავის თემში, მონებათ ხდიდა მათ და უსასყიდლოთ ამუშავებდა.

პატრიარქობა გვარეულობის საკუთრებაა.

პატრიარქი გადიდდა ხალხის თვალში, და დაისვა საკითხი, ვის უნდა გადასცემოდა მისი უფლებები, როდესაც ის გარდაიცვლებოდა. ეჭვი არ არის მას, ვინც მის გამოცდილებას და ცოდნას ყველაზე უფრო მეტად შეიძენდა. ასეთი კი იყო პატრიარქის შვილი ან ნათესავი, რომელიც მასთან ახლო იდგა ყოველდღიურ ცხოვრებაში. პატრიარქს შვილი ჰყავდა, შვილს კიდევ ცოლის ნათესავები, აგრეთვე მათ კიდევ თავისთან დაახლოვებულნი პირნი, ერთი სიტყვით გაჩნდა ერთნაირი პრივილეგიური უპირატესობით აღჭურვილნი ჯგუფი, რომელსაც ყველა პატივს სცემდა, ყველას ერიდებოდა მისი. ეს ჯგუფი თანდათან გაძლიერდა, გადიდდა და ყველაზე და ყველაფერზე თავის ბატონობა ანუ მონოპოლია ჰგამოაცხადა. ისინი ყველაზე უფრო მცოდნენი და განვითარებულნი იყვნენ. ხალხს ერიდებოდა მათი და ღვთაებრივ არსებათ ჰქონდა წარმოდგენილი. თავის უფლებები განახორციელეს მათ, როგორც მიწაზე და სხვა საგნებზე ისე თვით ადამიანებზე. მათ ეკუთვნოდათ მიწაც და ადამიანებიც—ისინი ცხოვრობდენ ფუფუნებაში, სხვები კი საშინელ გაჭირვებაში, ასე წარმოიშვა ფეოდალური ხანა ანუ ბატონ-ყმობა.

უფლება პატრიარქის ხელში.

როგორი უნდა ყოფილიყო ამ დროს უფლება და სასამართლო. აშკარაა-მათ, ე. ი. ფეოდალებს ჰქონდათ ყოველივე უფლებები, როგორც მიწაზე, ისე ადამიანებზე, მათ უნდა გამოენახათ ისეთი კანონმდებლობა და ისეთი უფლებრივი ნორმები, რომლებიც იცავდნენ მათ ინტერესებს, მათ ბატონობას მიწაზე და მიწის მუშებზე. ფეოდალი ანუ ბატონი იყო ყოვლის შემძლე და ყველა უფლებებით აღჭურვილი, მიწის მუშა, ანუ მონა კი სრულიად უუფლებო.

ბატონს შეეძლო ეწამებინა გლეხი, მას ამის უფლება ჰქონდა გლეხი კი ყველაფერს უნდა დამორჩილებოდა, რადგანაც ის უუფლებო არსება იყო, მაგრამ, როგორც თვით ცხოვრება რთულდებოდა ისე კანონიც იცვლებოდა, რასაკვირველია ფეოდალების სასარგებლოდ. სასამართლო კი ამ დროს ფეოდალების ნების აღმასრულებელი ორგანო იყო. ამ დროს, ფეოდალური წესის მოტრფიალენი, უფლების საკითხს ასე უდგებოდენ. ერთნი ამბობდნენ: უფლება, ეს ღვთაებრივი მოვლენააო, მეორენი გაიძახოდნენ უფლება, ეს ეთიკის (სწავლება ზნეობაზე) საკითხიაო, ხოლო მესამენი, რომელნიც სიმართლეს უფრო ახლო უდგებოდნენ, მაგრამ ამ სიმართლეს საბოლოოდ მაინც კი არ ხსნიდნენ, ამბობდნენ: უფლება, ეს ინტერესთა წინააღმდეგობის ნაყოფიაო.

ამ შეხედულებებს ჩვენ განვიხილავთ შემდეგ წერილში.

დ. ხიხაძე.

ჩვენი წითელ კარი

ენერგიული მუშაკი.

ქართული დივიზიის ლაზა-
ეთში მსახურებს ექიმი ჩაჩი-
იანი. ის დანიშნულია ლაზა-
ეთის ქირურგიული განყოფი-
ების ორდინატორად.

იშვიათია ისეთი ადამიანი,
ომელიც ასე ყურადღებით ექ-
ცოდეს თავის მოვალეობას.
მხ. ჩაჩიკიანი სინდისიერი
ა დაუღალავი მომუშავეა. კვი-
აში 15-20 ოპერაციის გაკე-
ება მაინც უხდება, მაგრამ მას
ოწყენას ვერ შეატყობთ. ღამ-
ამობით მოსვლა არ ევალება,
უხედავად ამისა, ის არ გამოსტოვებს ერთ ღამესაც, რომ არ ჩამოიაროს ლაზარეთში და არ დაათვალიეროს თავის ავადმყოფები. თავისი ალერსიანი მოპყრობით ის სრულიად გვავიწყებს ავადმყოფობს.

ქირურგიული განყოფილების ავადმყოფი წითელ არმიელები გულწრფელად დიდ მადლობას უხდით ამხ. ჩაჩიკიანს, მისი ასეთი ენერგიული მუშაობისა და ჩვენდამი ყურადღების მოქცევისათვის.

ქირურგიული განყოფილების ავადმყოფი **წ. არმიელები**

მოგვეცით საზამთრო საბნები.

ცხენოსან ლეგიონის მნეს საყურადღებოთ.

ორი თვის წინად ლეგიონ-
საბნების მაგივრად წითელ
მიელებს დაგვირიგეს ცხენე-
ს გადასაფარებელი საოფლე-
ი და თან დაგვპირდენ—ამ
ით კვირაში გადაგიცვლით
ბნებზეო.

მას აქეთ ჯერ ორმა თვემ
არა და ჩვენთვის არავინ
უხებს თავს. ვიწრო და მოვ-
ცხენების გადასაფარებელი
ოფლეები ამ სიცივეებში
იერ ცუდ სამსახურს გვი-
ვს.

ნეტა რას ფიქრობს ჩვენი
მნეო ნაწილის უფროსი?
ადმყოფობა თან და თან
ბს იკიდებს ლეგიონში.
არმიელები ცივდებიან ღამ-
მობით. ზოგს მუცელი სტკი-
ზოგს თავი და ზოგს ყბა-
რაც კი დაემართა. ოცდაათამდე კაცი უკვე ქსენონშია გადაგზავნილი. მესამე ესკადრონი კი ეს ერთი კვირაა, რაც გამოცხადებული იქნა კარანტინათ.

ასეთი ზომები ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ მიზეზს დასაწყისშივე არ მიექცა ყურადღება.

საბნები დაურიგეთ არმიელებს, თორემ მთელი ლეგიონი დაავადმყოფდება.

ჩვენ ვიცით, რომ მთავრობა ყველაფრით გვაკმაყოფილებს და დიდ ყურადღებას გვაქცევს. მაშ რა ემართება სამნეო ნაწილის უფროსს? კარგი ჯიშის ღორების მოშენება კი ნუ აინტერესებთ, პირველად ყოვლისა არმიელებს მიაქციონ ყურადღება.

დ. ზეფრაშვილი.

ახალწვეული არმიელის ხმა.

იმედები გაგვიმართლდა.

მე არ მეგონა თუ წითელი
არმაში მართლა ასე იყო
წყობილი საქმე ამ ჟამად.
1 წ. უვადო შევბულე-
ი წასული წითელ არმიე-
ბი გვეუბნებოდენ, რომ
ელ ყაზარმაში თქვენ ბევრ
ეს შეიძენთო. ისინი დადე-
ად ახასიათებდენ ყაზარმას
წითელ ჯარს. ჩვენც გვჯე-
და და სიხარულით მოვდი-
თ წითელი ჯარის რიგების
ავსებათ.

მოვედით. აქ დავრწმუნდით,
მ საქმე მართლა კარგად
ვილა დაყენებული. აქ ყვე-
ფერს გვასწავლიან. მალე სა-
არი ხელით დაწერილ წე-
ლებსაც გაუგზავნით ჩვენს
მბლებს, მივწერთ, რომ აქ დიდ ყურადღებას გვაქცევენ. სოფელში ისე გაუგებარი კი აღარ დავბრუნდებით, როგორც ვიყავით, არამედ უკვე ნასწავლი და შეგნებული.

ჩვენც გავხდებით მუშურ—გლეხური თავისუფალი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები.

ყაზარმაში გავიგეთ თუ ვის ინტერესებს იცავს ჩვენი მთავრობა. ჩვენ არმიელებიც ფიცს ვაძლევთ ერთმანეთს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცათ მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

გაუმარჯოს ჩვენს მშრომელთა ინტერესების დამცველ მთავრობას.

წ. ამრ. ა. ლომია.

ცოცხალი გაზეთი.

მეთაურთა სკოლის მესამე ასეულში.

3 დეკემბერს ასეულის ლენინის კუთხის გამგეობამ მოაწყო ცოცხალი გაზეთი, რომელიც მეტად შინაარსიანი შეიქნა. გაზეთი მართლაც ცოცხალი ამბებით იყო სავსე.

შესავალი სიტყვით გამოვიდა ამხ. ბასილია, რომელმაც გააცნო ამხანაგებს თუ რა მნიშვნელობა აქვს ცოცხალ გაზეთს და როგორი ინტერესით შეიძლება მისი მოსმენა. შემდეგ გაკეთებული იქნა კოლექტიური მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე; აქ შედიოდა: ინგლისსა და საბჭოთა ქვეყნებს შორის ურთიერთობა, ამერიკა და სხვა ბურჟუაზიული ქვეყნები, მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, საფრანგეთისა და რუსეთის შორის მომხდარი შეთანხმება, გერმანიასთან დამოკიდებულება და სხვა. ყველა ეს თემები შესაფერისად იქნა გაშუქებული სხვა და სხვა ამხანაგების მიერ.

შემდეგ გაიმართა ლექსთა თქმა. კურსანტებმა თავი ისახელეს თავისი მოხდენილი რევოლიუციონური ლექსებით.

ამას მოყვა მოხდენილი გურული სცენების წაკითხვა, რომლებმაც ბევრი აცინეს ამხანაგები.

ამხ. გვალიამ მოგვაწოდა ქრონიკა და ცნობები ასეულის ცხოვრების შესახებ. იყო იუმორი და შემდეგ ნარევიც.

გაზეთმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კურსანტებზე.

ასეულის ლენინის კუთხის გამგეობა კარგად მუშაობს. მისი ხელმძღვანელობით ხშირად ტარდება საუბრები სხვა და სხვა თემებზე, მაგრამ ერთი საყვედურის ღირსი მაინც არის კუთხის გამგეობა. კედლის გაზეთი ვერ გამოსცეს, რაც არ ეპატიებათ.

იმედია შემდეგისათვის გამოსწორებული იქნებ ეს ნაკლი.

კურსანტი **დონ-ნამი.**

სამხ. პოლიტიკურ სკოლის ცხოვრებიდან.

ჩვენ სკოლას დღიდან დაარსებისა მრავალი ტეხნიკური და მატერიალური დაბრკოლებები სდევდა თან. ამ მხრივ კურსანტთა შემადგენლობას მეტად ძნელ პირობებში უხდებოდათ მეცადინეობა. მაგრამ სკოლის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა.

სკოლას პირველად არ ჰქონდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, შემდეგ გაიხსნა ასეთი, მაგრამ სახელმძღვანელო წიგნები შიგ არ მოიპოვებოდა.

სამკითხველო წიგნების სიმცირის გამო ვერ აკმაყოფილებდა კურსანტების სულიერ მოთხოვნილებას. საკლუბო მუშაობაც ძლიერ მოისუსტებდა: არ არსებობდა არც ერთი წრე და არც გამოდიოდა კედლის გაზეთი. შკოლის სამეცადინო ოთახებში არ იყო კურსანტებისათვის პარტები, იდგა მხოლოდ გრძელი მაგიდები, სადაც უხერხული იყო მეცადინეობა. მაგრამ ყოველივე ასეთი დაბრკოლებები დაძლეულ იქნა. სამკითხველო აკმაყოფილებს კურსანტების მოთხოვნილებას, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც რომ წიგნები იქმნა მიღებული უმცროს მეთაურთა სკოლიდან. ამასთანავე კლუბის მუშაობაც კარგად მიმდინარეობს. ამ ჟამად არსებობს სხვა და სხვა წრეები, როგორიცაა: ლიტ-წრე, პოლიტიკური, დრამატიული, სამხატვრო და სხვა.

გამოდის აგრეთვე კედლის გაზეთი „წითელი კურსანტი.“ სასკოლო ოთახები მოწყობილია პარტებით და საჭირო ნივთებით.

ამ ჟამად მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული კურსანტთა შემადგენლობის პრაქტიკულ მუშაობას.

კურს. **მ. გიორგობიანი.**

მეორე საკავშირო ასეულის ცხოვრებიდან.

კომუჯრედი.

ჩვენს კომუჯრედში ირიცხება სულ 13 კაც. მათ შორის 2 პარტიის წევრია, 3 კანდიდატი და ცხრა ახკომკავშირის წევრები.

კომუჯრედი მიმაგრებულია ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კომუჯრედთან. გამოყოფილი გვყავს ერთი ამხანაგი, რომელიც მუდმივად ესწრება ხსენებულ კომუჯრედის სხდომებს.

ორივე კომუჯრედების გაერთიანებული კრებები იმართება თვეში ორჯერ.

კომუჯრედისვე თაოსნობით ნაწილში დაარსებული იქნა სხვა და სხვა ხასიათის წრეები, რომლებიც ენერგიულად ეწევიან მუშაობას. ლენინის კუთხეში საკონსულტაციო ბიუროს მიერ დაარსებული იქნა კითხვა-პასუხის რვეული. წითელარმიელებს შეაქვთ რვეულში ყველა გაუგებარი საკითხები და ღებულობენ შესაფერ ახსნა განმარტებას.

ნაწილის ლენინის კუთხის, წრეების და ბიბგამგეები კვირაში ორჯერ დაიხრებიან სამეცადინოთ დივიზიის კლუბში.

ასეულის საერთო კრებები ეწყობა ყოველ თვეში ერთხელ, რომელზედაც თავისი მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდიან ასეულის მნე, საკონსულტაციო კომისია, წრეების ხელმძღვანელები, სამხკორები და სხვა კომისიები.

შეფობა.

ასეული კულტშეფობის ქვეშ ყავს აყვანილი ქუთაისის მეხუთე ცხრა წლიან სკოლას. ჯერჯერობით მათ არ დაუწყიათ მუშაობა ასეულში, მაგრამ შემუშავებული კი აქვთ საერთო გეგმა. ერთი პედაგოგი სკოლიდან მოვლენით იქნება ჩვენთან მეტრიულ სისტემაზე ლექციების საკითხავათ.

თავის შეფობის ქვეშ კი ასეულს აყვანილი ყავს სოფელი სვირი, რომელსაც ყოველგვარ დახმარებას უწევს. ამ ახლო მომავალში ასეული ფიქრობს მოაწყოს სვირში სხვა და სხვა საუბარი და გასამართლებები.

სამხკორი სერმონია.

აგარის ხიდზე მოდარაჯე გუნდის ცხოვრებიდან.

ამ ჟამად აგარის ხიდს დარაჯობენ პირველი ქართული მსროლელ ლეგიონის მე8-ვე ასეულის მოლაშქრეები. გუშაგები პირნათლათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას...

სამხედრო და კულტურული ხასიათის მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს. წერაკითხვის უცოდინარობას სწრაფად ელება ბოლო. ყარაულის უფროსი ამხ. გელენიძე მეტისმეტად ამხანაგურ დამოკიდებულებაშია არმიელებთან.

გუნდში სუსუფთავე კარგად არის დაცული.

კვების საქმე კარგად არის დაყენებული.

მხოლოდ საჭირო არის დალაქი.

იმედი გვაქვს, რომ ამხ. პარიკ. შეასრულებს თავის მოვალეობას და მოგვინახულებს აგარის ხიდზე მოდარაჯე არმიელებს.

წით. არ. იონა კორძ.ხია.

ცენტრალურ კლუბში.

ორშაბათს, 8 დეკემბერს, ჩვენს ცენტრკლუბში 1-ლ საარტილერიო დივიზიონის დრამწრემ გამართა საღამო-წარმოდგენა, რომელსაც დაესწრენ თბილისის გარნიზონის ყველა ქართულ ნაწილების წითელარმიელები და უფპოლიტშემადგენლობა. დაიდგა 5 მოქმედებიანი პიესა: „არსენ ჯორჯიაშვილი“.

მოთამაშენი ყველა წითელარმიელები იყვნენ და კარგადაც მომზადებულნი იყვნენ, მაგრამ რა უნდა ექნათ, როდესაც პიესა არ ვარგა. პიესაში სრულიად არაა დაცული ისტორიული მხარე.

ამ პიესის ორ ვარიანტს ვიცნობთ: ერთი გოგიშვილისა, მეორე ჩარკვიანის და მესამე ვარიანტი კინო-ლენტის, რომელიც ყველაზე მახინჯი ფაქტებით გვეშლება თვალწინ.

ამ საღამოს წარმოდგენილი პიესა ბოლო მოქმედებით ჰგავს კინო-სურათს (მაგ. ჩამოხრჩობის მაგიერ, რომელიც ისტორიული სინამდვილეა—აქ დახვრეტით სჯიან ჯორჯიაშვილს.

ეს პიესა მეოთხე ვარიანტია (თუმცა ავტორი არა სჩანს).

შემდეგ: ამ ვარიანტში არსენასთან ერთად იჭერენ და ასამართლებენ მის ამხანაგს-ნიკოს, არც ესაა მართალი.

ასე დამახინჯებულ სურათების გადაცემას ჩვენს წითელარმიელებზე-უნდა ვერიდოთ.

არტდივს კარგი დრამწრე ჰყავს, საკმაოდ უნარიანი ხელმძღვანელით და იმედია შემდეგისთვის უფრო კარგ პიესებს მოჰკიდებს ხელს.

წარმოდგენის წინ, კლუბის გამგეობამ მოაწყო თამაში-„პოლიტანკესი“ საჩუქრებით, რომელიც მხიარულად ჩატარდა.

წარმოდგენის წინვე არტდივის მომღერალთა გუნდმა შეასრულა რამდენიმე ხალხური სიმღერა. ანტრაქტებში უკრავდა პირველ ლეგიონის მუსიკა და იყო ცეკვაც.

გათავდა 10 ნახ. საათზე, რაიც სასიამოვნოა. საჭიროა მუდამ ასე იქნეს, წითელ-არმიელთა მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს ამას.

საღამოს დამთავრების შემდეგ ნაწილები მუსიკით და სიმღერით, მხიარულად გაემართნენ ყაზარმებისაკენ.

ს.-ე.

კლუბების უფროსების საყურადღებოთ.

წ. არმიელთა ცენტრალურმა კლუბმა დაუთმო ნაწილებს კვირაში ორი დღე წითელ-არმიელებისათვის საღამოების გასამართავად. საარტილერიო დივიზიონმა და საკავშირო ასეულმა უკვე ჩაატარეს საღამოები. ემზადებიან საღამოების გასამართავად სხვა ნაწილებიც.

მე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ამ საღამოების შესახებ.

ამა თუ იმ ნაწილის კლუბის უფროსი, როდესაც მართავს საღამოს, უნდა სცდილობდეს რომ საღამოში მონაწილეობა მიიღებიოს კლუბის მთელ ძალებს წრეებითურთ.

წარსულ საღამოებში მონაწილეობდნენ მხოლოდ დრამ წრეები. შთაბეჭდილება ისეთია, თითქო ნაწილებში მუშაობენ მხოლოდ დრამ-წრეები

როდესაც ყველა წრეების მონაწილეობით გაიმართება საღამო მას მეტი ფასი, მეტი მიმზიდველობა ექნება და მეტ სარგებლობას მოუტანს დამსწრე წით. არმიელებს, ვინმ

ულამაზოთ დადგმული და უხეიროდ შესრულებული 5 მოქმედებიანი დრომოქმული დრამა.

პოლიტწრემ გამართოს რაიმე შინაარსიანი გასამართლება, ან ცოცხალი გაზეთი ლიტ და მომღერალთა წრემ გამოამჟღავნოს თავისი საქმიანობა.

ეს სარგებლობას მოუტანს ვიმეორებ, როგორც დამსწრე საზოგადოებას ისე თვით საღამოს მონაწილეთ და გაუღვიძებს მათ მეტ შემოქმედებითი უნარს.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მას, რომ საღამოს პროგრამა რიგიანად იყვეს დამუშავებული: ლექსი, სიმღერა, პიესა, გასამართლება უნდა სრულდებოდეს უნაკლოდ.

იმას ნუ ვიფიქრებთ, რომ აუდიტორია ვერ ამჩნევს ნაკლს. ხშირად გამიგონია ასეთი სიტყვები წითელ-არმიელისაგან, რომელიც ბრუნდებოდა კლუბიდან ყაზარმებში:

„აბა, განა წითელ-არმიელს კარგ რამეს უჩვენებენ“-ო. ასეთ მოვლენას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

როლების უცოდინარობა, შეუფერებელი გრიმი და ტანსაცმელი, მოკარნახის ყვირილი, გრძელი ანტრაქტები-უნდა განდევნილი იქნენ წითელ-არმიელთა კლუბებიდან.

ყოველი საღამო უნდა იყვეს შინაარსიანი, ლამაზად მოწყობილი. მაშინ მივიზიდავთ ჩვენ კლუბში წითელ-არმიელთა მასას, წინააღმდეგ შემთხვევაში წითელ-არმიელნი შემოგვეფანტებიან და ვერავითარი პიესებით ვერ მოვიყვანთ.

ე. ხუციშვილი.

უცხოეთის არმიებში.

ავიაცია საზღვარ-გარეთ.

„შემოსილი ჰაეროპლანი“

გერმანიაში ამ ჟამად მიმართავენ შემდეგ ხერხს. ჰაეროპლანის ბორბლებს აკრავენ ტილოებს. ასეთი შემოსილი ჰაეროპლანის უპირატესობა იმაში გამოიხატება რომ აფრენის დროს და საზოგადოთ ძლიერ მცირდება ჰაეროპლანისადმი ჰაერისაგან გაწეული წინააღმდეგობა.

დედამიწის გარშემო ფრენით შემოვლა.

28 სექტემბერს ამერიკელ მფრინავებისაგან დასრულებული ფრენით მოგზაურობა დედამიწის გარშემო გაგრძელდა 175 დღეს. ამათ შორის მხოლოდ 66 დღის განმავლობაში სწარმოებდა ფრენა, ხოლო 108 დღე კი დასჭირდა ჰაეროპლანების ნაწილობრივად შეკეთებას. აქ შედის აგრეთვე ცუდი—ფრენისთვის გამოუსადეგარი დღეების რიცხვიც. სულ ხსენებულმა მფრინავებმა დაჰყვეს ჰაერში 351 საათი და ამ ხნის განმავლობაში გაიარეს 44,320 კილომეტრი მანძილი. საათში მფრინავები გადიოდენ 123 კილომეტრს. ამ ექსპედიციის ხარჯები აღწევს 1,800 ათას ოქროს მანეთამდე.

პოლონეთის საჰაერო—საზღვაო ძალები.

პოლონეთის სამხედრო მინისტრმა გამოაქვეყნა სამხედრო—საზღვაო ძალების შემდეგი პროგრამა მინიმუმი. ამ ახლო მომავალში შეძენილი უნდა იქნას ავიაცია: თვითმფრენები სათანადო მარაგით—გამანადგურებლები—36. ყუმბარების ჩამომყრელი 36. მზვერავები—54 სულ კი 126 ჰაეროპლანები, 252 მოტორებით. პირადი შემადგენლობა აღწევს 1700 კაცამდე. მისაბმელი ჰაეროპლანები კი ექვსი.

დიდი გადაფრენა პოლონეთში.

პოლკოვნიკ სერედნიცკის მეთაურობით, პოლონეთის ხუთი მფრინავმა მოახდინეს ჯგუფობრივი გადაფრენა პარიზიდან ვარშავში. გადაფრენა მოხდა სამხედრო ჰაეროპლანებით შემდეგი მარშრუტით: პარიზი—ლიონი—ტურინი—ვენა—კრაკოვი და ვარშავა.

ალპების მთებს მფრინავთა ჯგუფმა გადაუარა 5000 მეტრის სიმაღლეზე.

ჰიდრო ჰაეროპლანების ახალი რეკორდი.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოახდინეს ჰიდროჰაეროპლანების გამოცდა. შედეგები დამაკმაყოფილებელი შეიქნა.

ამერიკელმა მფრინავებმა ამ გამოცდაზე აიღეს ახალი რეკორდი. გიდრო-ჰაეროპლანების მაქსიმალურმა სიჩქარემ მიაღწია 302, 76 კილომეტრს საათში.

ჩვენი სოფლის ცხოვრება

ძველი და ახალი იარაღით დამუშავებული მიწა.

ჩვენ გუთან-სახნისებს ასი წლის უკან ვხმარობდით. და საუბედუროთ დღესაც ამით ვამუშავებთ მიწებს. ჩვენი გლეხობა ჯერ კიდევ ვერ გასცილდა ბატონ-ყმურ და ძველ კარჩაკეტილ ცხოვრებას, რაც ყოვლად დაუშვებელია თანამედროვე ცხოვრების პირობებში. არამც თუ ორმოცი წლის და მეტი ხნის წინ, არამედ, რაც ხუთი და ნაკლები წლის წინათ იყო ცხოვრებისათვის გამოსადეგი," დღეს ის არ ვარგა და საჭიროა მისი გამოცვლა. ცხოვრება წინ მიდის, იცვლება ყოველივე, და მასთან ერთად უნდა გამოიცვალოს ძველი ახალზე. აქედან ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ახალი სამეურნეო იარაღით დამუშავებული მიწა, ყოველთვის უფრო ნაყოფიერია. ის მეტ სარგებლობას და ნაყოფს აძლევს გლეხობას, ვიდრე ძველი გუთან-სახნისით დამუშავებული. ახალი სამეურნეო იარაღებს ყოველთვის ნაკლები ადამიანის ხელი სჭირდება, ვიდრე ძველ გუთანს.

ახალ იარაღს სჭირდება ერთი—ან ორი ცხენი, ძველ გუთანს კი სჭირდება რვა და ათი უღელი ხარ კამეჩი. ამ ორ იარაღებს შორის (ძველი და ახალი) დიდი განსხვავება ყოფილა როგორც გავს, როგორც ადამიანის ფიზიკური შრომის დახარჯვის მხრივ აგრეთვე ნაყოფის რაოდენობის მიღების მხრივ.

ეხლა ყველა ზემო აღნიშნულ მაგალითებს უნდა მივმატოს ის, რომ ახალი გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღებით გლეხი ყოველთვის მეტ მიწას ამუშავებს და თანაც უფრო ჩქარა მუშაობს. ამის დამტკიცება სულ უბრალო საქმეა. მაგალითად: გლეხი როდესაც გუთანში აბამს შვიდ რვა უღელ ხარ-კამეჩებს და დაიწყებს ხვნას, კამეჩი ძლიერ ზანტად მიდის და გვიან იხნება მიწა, და როდესაც ცხენი გიბია ახალ განვითარებულ სამეურნეო გუთანში, უსათუოდ ცხენი ორჯერ მეტი სიჩქარით მიდის და ხნავს მიწას. ასე რომ თუ კამეჩი დღეში მოხნავს ერთ დღიურ ანუ ერთ ქცევას ცხენი კი დაგიხნავს ერთ დესეტინას. ამავე დროს ძველ გუთანს თუ სჭირდება გუთნის დედა და სამი-ოთხი მეხრეები, ცხენისას სჭირდება ერთი კაცი, რომელიც თავისუფლად მუშაობს. აი რამდენი განსხვავებას ვხედავთ ძველსა და ახალ იარაღებს შორის.

მართლაც ყველა მშრომელმა გლეხობამ კარგათ უნდა ჩაუკვირდეს ცხოვრებას, კარგათ უნდა შეისწავლოს ახალი იარაღების საჭიროება თავის მეურნეობის გასაძლიერებლად და გასავითარებლათ. კარგათ უნდა იცოდეს გლეხმა, რომ ძველი იარაღებით მან უნდა იმუშავოს მთელი ოც და ოთხი საათი დღე და ღამეში, რის მიუხედავათ ნაყოფს ნაკლებს მიიღებს. თუ გლეხობა შეიძენს ახალ იარაღებს ის დღეში იმუშავებს მარტო რვა საათს და შემოსავალიც მეტი ექნება.

ყველა ამ მიზნების განხორციელება ევალება ჩვენს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებსაც მთავრობა ავალებს, რათა გლეხობაში გაიტანონ ეს ახალი სამეურნეო იარაღები, ასწავლონ გლეხობას მისი მოხმარა და ზოგიერთ შემთხვევაში, თუ გლეხს ფული არ აქვს, შეიძლება ეს იარაღები მიეცეს ნისიათ განსაკუთრებულ გარანტიით, განსაზღრულ დრომდე. ამიტომ ყველა გლეხი ყოველთვის უნდა იყოს დაინტერესებული ახალ სამეურნეო იარაღების შეძენაში, რაშიც მთავრობაც დაინტერესებულია გლეხის მეურნეობის გაძლიერებაში, რაზედაც ყოველთვის ეხმარება მას.

ს. ლ—ძე.

ამბები სოფლებიდან.

წერა-კითხვის შესწავლა.

აჭარაში მოზრდილ წერა-კითხვის უცოდინარ მცხოვრებთათვის სწავლება უნდა დასრულდეს ოქტომბრის 10 წლის თავისათვის. მოზრდილათ ითვლება ყოველი მოქალაქე 18 წლიდან.

გზების შეკეთება,

ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს საფოსტო გზა ალპანიდან ცაგერამდე.

მევენახეობის კურსები.

14 დეკემბრიდან სოფ. მეჯვრისხევში იხსნება მევენახეობის ორწლიანი კურსები.

მესაქონლეობის არტელი.

გორის მაზრაში დაარსდა მესაქონლეთა არტელი რომლის მიზანია კარგი ჯიშის საქონლის მოშენება.

ელექტრო სადგურების აშენება.

გადაწყვეტილია ააშენონ ელექტრო სადგურები დაბა ცაგერში და ლაილაში (ლეჩხ. მაზრა).

ტყეების და ბარიტის ექსპლოატაცია.

ლეჩხუმის აღმასკომმა გადასწყვიტა ფართო ნიადაგზე დააყენოს ტყეებისა და ბარიტის მადნის ექსპლოატაცია.

დასასვენებელი სახლები.

ლეჩხუმის აღმასკომმა ააშენა მოაში, ძულურში, და ახალჭალას დასასვენებელი სახლები, რომლებიც გაიცა იჯარით.

ავტომობილებით მიმოსვლა.

ქუთაისიდან ონამდე ამ ჟამად სწარმოებს ავტომობილებით რეგულიარული მიმოსვლა.

სარწმუნოების წარმოშობა და განვითარება.

მზე და ცეცხლი წარმართობის დროს.

წარმართული დროის სარწმუნოება და ჩვეულებები დღემდისაც დარჩენილა ჩვენში სხვა და სხვა სახით. წარმართულ სარწმუნოებაში დიდი ადგილი ეჭირა მზესა და ცეცხლს. ცეცხლი და მზე ძველი ადამიანის თაყვანთსაცემი საგნები იყო. მზის სადიდებლად ძველი ადამიანი ლოცვებს ადგენდა, მზის მობრუნებას ის მსხვერპლს სწირავდა.

წარმართული დროის ჩვეულებები ბოლოს შეუერთდა და გადაეხლართა ქრისტიანულ ჩვეულებებს და ბევრ მათგანმა ჩვენამდისაც მოაღწია. მაგ. როცა ზამთრის სუსხის შემდეგ მზე მობრუნდებოდა და ზამთარი მიიწურებოდა, წარმართები ლოცვითა და მსხვერპლით მიმართავდენ ღმერთს. მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოების გაძლიერების შემდეგ ეს დღესასწაული შეუერთდა შობის დღესასწაულს და დაჰკარგა ძველი სარწმუნოებრივი ნიშნები.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კიდევ არის დარჩენილი ჩვეულებად ალილოზე სიარული შობის წინა დღეს. აქ გალობენ და წარმოსთქვამენ სიტყვებს ქრისტეს დაბადების შესახებ. წინად კი ეს გალობა და სადიდებელი სიტყვები მხოლოდ მზის საკუთრებას შეადგენდა.

ყეენობის დღესასწაული.

ჩვენში აქა-იქ (მაგ. ქართლში, კახეთში) დღესასწაულობენ ყეენობას. ამ დღესასწაულის წარმოშობა უძველეს დროს ეკუთვნის და ის არც მარტო ქართველი ხალხის საკუთრებას შეადგენდა ძველად.

წინა წერილებში ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა ზოგიერთი ცხოველების წმინდად აღიარება და მისი გაღმერთება ადამიანების ამა თუ იმ ჯგუფში. ასეთი ცხოველის რაიმე ნიშანს: კბილს, ბალანს, რქასა ან სხვა რამეს ძველი ადამიანი ხშირად ატარებდა ნიშნად ცხოველის პატივცემისა. ადამიანი ამ ცხოველის თაყვანის მცემელი იყო.

ბოლოს იმდენად შეიცვალა რწმენა, რომ ადამიანი თავისთავს აცხადებდა ამა თუ იმ ცხოველის შთამომავლად და ცხოველს თავის წინაპრად იხსენიებდა.

ადამიანი პატივს სცემდა ამ გაღმერთებულ ცხოველს და, სხვა ნიშნების გარდა, ის იცვამდა მის ტყავს. ამ ჩვეულების მსგავს მაგალითს ჩვენ ვხედებით ვეფხვისტყაოსანში. ტარიელს უყვარს თავისი დაკარგული სატრფო ნესტან დარეჯანი. ის ნესტან დარეჯანის მსგავსებას ჰპოულობს ვეფხვში; ტარიელი ჰკლავს ვეფხვს და მის ტყავს ტანზე იცვამს და განუყრელად ატარებს თავის სათაყვანებელ, დაკარგულ სატრფოს სახსოვრად.

ძველი სარწმუნოების ნაშთები ჩვენში.

ჩვენში დარჩენილი ჩვეულება ბერიკობის, ყეენობის დღესასწაულის სახით განვითარებულია ზემო მოყვანილ რწმენიდან. დათვის ტყავის ჩაცმა, ნიღაბის გაკეთება, შემდეგ ყეენის აბუჩად აგდება და მრავალი სხვა წარმართული დროიდან მოდის, მხოლოდ მას სახე შეუცვალა გზადაგზა სხვა და სხვა სარწმუნოებამ და ისტორიულმა პირობებმა.

ყეენობა თავის თავად წარმოადგენს ბრძოლას ზამთარსა და გაზაფხულს შორის, სადაც გამარჯვებული გამოდის გაზაფხული.

ამ დღესასწაულის სახელწოდებიდან სჩანს, რომ წარმართულ ჩვეულებაზე გავლენა მოუხდენია იმ ისტორიულ შემთხვევას, როცა საქართველოს აოხრებდენ სპარსეთის ბარბაროსი ყეენები.

დღესასწაულზე ყეენის წყალში გადაგდების ჩვეულება შეიძლება გამოწვეული იყოს ქართველი ხალხის სიძულვილით სპარსელების ბარბაროსების წინააღმდეგ.

№

ახალი ამბები.

— **ქიმოხსაზოს ლაბორატორია ბათომში.** საქ. ქიმ. მოხ. საზოგადოებამ დაადგინა ბათომში მოაწყოს ლაბორატორია, რისთვისაც ამთავითვე გადასდო 500 მანეთი.

— **სამხედრო-ქიმიური კურსებისათვის.** ტფილისის გარნიზონის სამხედრო ქიმიური კურსების საჭიროებისათვის ქიმოხსაზომ უკვე შეიძინა საჭირო მოწყობილობა.

— **საექიმო სადგურებისათვის.** ჯანსახკომმა მიიღო მოსკოვიდან 70 საექიმო პუნქტისათვის საყოფი საექიმო იარაღები.

— **მოწაფეთა მომზადების შესახებ.** განათლების კომისარიატის დადგენილებით ყველა მასწავლებელთათვის აკრძალულია მოწაფეების კერძოთ მომზადება იმ სასწავლებლიდან, სადაც თითონ მსახურებენ.

— **სახელოსნოები სასწავლებლებთან** პროფესიონალურ განათლების მთავარმა მმართველობამ წინადადება მისცა ყველა სპეც. ტეხნიკუმების გამგეებს წარმოადგინონ ანგარიშები სახელოსნოებსა და ლაბორატორია-კაბინეთებში პრაქტიკული ვარჯიშობის შესახებ.

— **აგრანომების თათბირი** დასრულდა მაზრების აგრანომთა თათბირი. თათბირმა გამოიმუშავა მაზრებში მუშაობათ წარმოების გეგმა.

— **არტელები და კომუნები.** მიწ. მოქ. კომისარიატ იწვევს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 31 პრაქტიკანტ სტუდენტ-აგრანომებს სოფლებშ სამუშაოთ.

ხელოვნება.

— **უპატრონო ბავშთათვის** ქ. წ. დ. არმიის სამმართველო განზრახული აქვს ახლო მომავალში გამართოს დიდი საღამ უპატრონო ბავშთა დასახმარებლათ.

სხვა და სხვა.

სალათას ძილი.

სოფ. კირძალოში (გორ მაზრა) სალათას ძილით დაიძინა ერთმა ავათმყოფმა ქალმ გამოიღვიძა 40 დღის შემდ და დაეტყო, რომ ძილის დრო მოეკეთებია.

პასუხისმგებელი
რედაქტორი დ. ჩანტლაძ

ნ. დ. ს. ც
სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3.
ტირაჟი 1500